კვირა, მაისის 4 1919 წ.

ფასი 1 მანეთი.

№ 78.

ჩვენი ეკუსნა

წელიწადი მესამე

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. 3 თვით 50 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოეულ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დედა ანა სტეფანეს ასული ოცხელისა, დები სოფიო ივანეს ასული პოლოლიკაშვილისა და ნინო ივანეს ასული საკაშვილისა, ძმები სიმონ, დავით და კოსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი, რძალი ლუკრეცია ანტონის ასული ოცხელისა და სიძე პეტრე ზაქარიაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 6 მაისს დილის 10 საათზე ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარის

იოსებ ივანეს ძე ოცხელის

სულის მოსახსენებლად. 3—2

ქუთაისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია აუწყებს საზოგადოებას, რომ 6 მაისს, სამშაბათს ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ამავე გიმნაზიის დირეკტორის განსვენებულის

იოსებ ივანეს ძის ოცხელის

სულის მოსახსენებლათ.

წირვა დაიწყება დილს 10 საათზე. 2—1

30 აპრილს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა

ნინა ივანე ნიკოლაძის ასული

კემულარია

რასაც უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა ნატალია ნიკოლაძისა, შვილი იოსებ გრიგოლის ძე კემულარია; მეუღლითურთ, ქალიშვილები: ანა გრიგორის ასული ჟვანიასი და სოფიო გრიგორის ასული გოთუა, სიძეები: ივანე ლუკას ძე ჟვანია, და პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა და ძმა იაკობ ლუკას ძე ნიკოლაძე მეუღლითურთ. მიცვალებულს ქუთაისში ჩამოასვენებენ 3 მაისს. დილის 8 საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას 4 მაისს მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში. 2-2

ქუთაისის ქალაქის გამგეობის საექიმო-სასანიტარო

განყოფილება ამით აცხადებს

მოქალაქეთა საყურადღებოთ,

რომ ამ დღეებში ქალაქის სასანიტარო რაზმი შეუდგება ეზოების გაწმენდას. განყოფილება სთხოვს იმ პირთ, ვისაც ეზოები გასაწმენდი აქვთ, კეთილინებონ და შეუბრძანდენ გამგეობაში ჯეროვანი ბარათების მისაღებათ.

გამგეობის წევრი **ალ. ჯაფარიძე.**

სასანიტარო ექიმი **ვალ. ლორთქიფანიძე.** 3—1

ლიკვიდაცია

ვაჭრობის შეწყვეტის გამო ყოველგვარი საგალანტერეინო, ხელით დამზადებული საქონელი, აგრეთვე ქალებისა და მამაკაცების თეთრეულობა, მადეპოლონი თეთრეულობისათვის, საკისური, გაღლსტუკები, და სხვა მრავალგვარი

საჭირო საქონელი იყიდება

მაღაზიის მოწყობილობით. მ[illegible]ურველთ შეუძლიათ შეიძინონ მთელად, აგრეთვე ნაწილობითაც.

მისამართი: ქარვასლის ქუჩა. ჩილინგაროვის სახლი, პირველი გიმნაზიის პირდაპირ. სავაჭრო **„უნივერსალი“.** 6—3

ქალაქის თეატრი.

პარასკევს 9 მაისს 1919 წლისა შესდგება მხოლოდ ერთი **კონცერტი.**

თბილისის სახელმწიფო თეატრის პრემიერის

ტალია ივანეს ასულის საბანიევისა

სახელმწიფო თეატრის პრემიერის **თევდორე ფალიევის** (ბარიტონი) მონაწილეობით.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება თეატრის კასაში დილის 10—2 საათ. და საღ. 6—8 საათამდის. 6—2

რუსული ფული ქართული ფულის საწინდრად?

ამას წინეთ ერთი ეკონომისტი სწერდა. ტყვარჩელის ქვანახშირის, თუთუნისა და სხ. გაყიდვით რუსული ფული უნდა შევიძინოთ, შევინახოთ და საწინდრად დავდვათ ქართული ფულის გამოსაშვებადო.

მაგრამ რუსული ფული თვითონვე მერყევია, რადგან რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობაც მერყევი და უწონასწორო.

ვინ გამოიცნობს რუსეთის მომავალს? აღდგება თუ არა მთლიანად? დანაწილდება თუ არა და რამდენ ნაწილად?! სრულიად დამოუკიდებული იქნება, თუ დამოკიდებული? დამარცხდება თუ არა ბოლშევიკური კომუნიზმი? და, თუ დამარცხდება მის ნაცვლად როგორი-ღა წესწყობილება დამყარდება: მონარქიული, მონარქიულ-კონსტიტუციური, რესპუბლიკურ-ოლიგარქიული თუ რესპუბლიკურ დემოკრატიული?

როდის მოისპობა ომი რუსეთსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის?!

რუსული ფულის კურსი ყველა ხსენებულ მომენტზეა დამოკიდებული.

ფული კი მხოლოდ მაშინ ასრულებს რიგიანად თავის როლს, როდესაც მისი კურსი უცვლელია. ამიტომ ხნარობენ ფულად ოქროს, რომლის ღირებულებაც პოლიტიკაზე დამოკიდებული არ არის.

მაშასადამე ქართული ფულის საწინდრად უნდა იქნეს დადებული არა რუსული ქაღალდის ფული, არამედ ოქრო ან და ისეთი ქაღალდის ფული, რომლის ღირებულების კურსი, რამდენადაც შეიძლება, ნაკლებად იცვლება.

აქედან კი შემდეგი დასკვნა გამომდინარეობს; ქართული ფულის საწინდრად მხოლოდ ამერიკა-ინგლის-საფრანგეთის ფულის ნიშნები გამოდგება (იმავე დროს და მეტის უფლებითაც რასაკვირველია, ოქრო).

წარმოვიდგინოთ, მაგალითად, რომ ვაჭარმა გამოიტანა ხაზინიდან ქართული ფულის ნაცვლად რუსული ფული. უზრუნველყოფილი იქნება გაკოტრებისაგან?! არა, რადგან რუსული ფულის კურსი, შეიძლება, ერთს დღეს დაეცეს, რუსეთში მომხდარის პოლიტიკური კატასტროფისა გამო.

მაშ ჩვენის ფინანსიური კრიზისის გამოსწორება მხოლოდ ევროპასთან ეკონომიური დაახლოებით შეიძლება.

გზა ევროპისკენ, აი რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი.

მეორე მხრით, როგორც სხვიმის მითქვამს, ჩვენა გვაქვს ისეთი მადანი, რომელსაც საქვეყნო, საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს—შავი ვა.

და კვლავ ვიტყვი: ამ ქვის საზღვარგარეთ გაგზავნას—სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და საქართველოს ფინანსიური კრიზისისაგან დასახსნელად ვაგონებისა და გემების შავი ქვით დატვირთვა ანუ დაცლა—შრომაზე საგალდებულო ბეგარის დადების წესით უნდა წარმოობდეს. თვითნიერ ამ საშუალებისა არ არის ხსნა.

ნურავინ მიიჩნევს ამ გვარ ბეგარას არა ჩვეულებრივ მოვალეობად.

სამხედრო ბეგარა, რომელიც ჯარის კაცის სიცოცხლეს განსაცდელში აყენებს, განა ნაკლებათ მძიმეა?

აგერ ახლა ექიმებს „შავ სახადთან“ ბრძოლა დაავალეს. ამგვარადვე სავალდებულო იქნება „ხოლერასთან“ ანუ „შავ ჭირთან“ ბრძოლა, თუ განგებამ ეს მოარულები მოგვივლინა.

დიაღ, როდესაც სამშობლო განსაცდელშია, არავითარი ბეგარის წინაშე არ უნდა დავიხიოთ. და საქართველოს დღეს საფრთხე ფინანსიური კრიზისისაგან უფრო მოელის, ვიდრე თოფ-ზარბაზნისაგან.

როდესაც ფუთი სიმინდი თერთმეტ თუმნად ფასობს, წინდა სამას მანეთად და რკინის გზით მგზავრობა ორმოცი ვერსის მანძილზე სამიც მანეთად, რესპუბლიკა განა უფსკრულის პირას არა დგას?!

დიაღ! უკიდურეს განსაცდელს მხოლოდ უკიდურესი საშუალება მოუღებს ბოლოს.

მაშ შრომის ბეგარა ერთად ერთი საშუალებაა.

ვასილ წერეთელი.

პრესა.

დენიკინელები და ფედერალისტები.

რევოლიუციამ ყველაზე უფრო ფედერალისტების იდეოლოგია დააზარალა. პირველი იდეიური და ფიზიკური „პოგრომი“ ჩვენმა მონტანიერებმა, ფედერალისტების კლუბებიდან და ორგანიზაციებიდან დაიწყო, და დაამთავრეს იმით, რომ მათს ლიდერებს ორიოდე „აბეზარი პორთფელები“ დაურიგეს და მთავრობის კარისკაცობის ხარისხი უბოძეს. დღეს ეს თანამდებობაც ჩამოართვეს რევოლიუციის ამ უიღბლო რაინდებსა და მინდვრად გაყარეს. მაგრამ ფედერალისტების

მეუღლე დავით მანუჩარის ძე ყიფიანი, დედა ქეთევან ევგენის ასული კახიძისა, დები ანნა დიმიტრის ასული გოგელიანი, ელენე დიმიტრის ასული კვიტაშვილისა და სიძე ალექსანდრე დავითის ძე კვიტაშვილი შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 4 მაისს, დილით 9 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ნინა დიმიტრის ასულის ყიფიანისას.

დიდ ღირსებას სწორედ ის შეადგენს, რომ ყოველგვარ კატასტროფებსა და პარტიულ მარტვილობას ისინი არაჩვეულებრივის მხნეობით იომენენ, ჯანს არ იტეხენ. არც მაშინ ურიგდებიან თავიანთს ბედს, როდესაც მათს უუძვირფასეს რწმენას, მათს იდეოლოგიას მათი საშინელი მოწინააღმდეგე ადამიანები ისაკუთრებენ, როგორც მაგალითად დენიკინელთა შტაბმა ფედერალიზმი მიისაკუთრა და რუსეთის მომავალი კონსტიტუცია ფედერატიულ ორგანიზაციად გამოაცხადა. დენიკინი ფედერალისტია, მაგრამ ქართველ ფედერალისტებს არც ამისი რცხვენიათ, რადგან ეს თავიანთ გამარჯვებათ მიაჩნიათ. კოლჩაკ-დენიკინელებისა და ბოლშევიკების ურთიერთობის შესახებ მაშინდელი გაზ. „სახ. საქმე“ ასე სწერს:

მეფის გენერლები კვლავ განაგრძობენ უიმედო საქმეს—ძველი რეჟიმის აღდგენის ცდას. მათ დიდი ხანია გადასდგეს საბედისწერო ნაბიჯი და რევოლიუციას სიკვდილ-სიცოცხლის ომი გამოუცხადეს. ამიტომ მათ უკვე აღარ შეუძლიანთ უკან დახევა და ბოლომდე უნდა იბრძოლონ, ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს ბნელეთის მოციქულები დამარცხდებიან და ისტორიის ჩარხს უკუღმა ვეღარ დაატრიალებენ. მაგრამ დღეს ფაქტია, რომ რუსეთის ბოლშევიკების რამდენიმე მხრიდან შეესივნენ—გენ. დენიკინი, იუდენიჩი, კოლჩაკი და ძმანი მათნი. ჩვენ კარგად ვიცით ბოლშევიკების ნაკლი და ღირსება, მაგრამ ერთი რამ აშკარათ შეგვიძლიან ვსთქვათ: ნიკოლოზის გენერლების გამარჯვება უპირველესად ყოვლისა იქნება დამარცხება რუსეთის რევოლუციისა ჯერ ველიკოროსიაში და მერე მთელ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე. ამიტომ ჩვენ დიდი ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს იმ ბრძოლას, რომელიც ეხლა სოციალისტურ ელემენტებს და რეაქციონერებს შორის არის გამართული. ჩვენ, რასაკვირველია, დაინტერესებულნი ვართ, რომ ამ ბრძოლაში ჩაკვდეს ძველი ქვეყანა და გაიმარჯვოს რევოლუციამ. ჩვენ ეს ღრმადა გვწამს და ამის იმედს იძლევა უკვე აგორებული ტალღი საერთაშორისო რევოლუციისა.

ვინ რა უნდა თქვას არსებითად წინაღმდეგ აქ გამოთქმული დებულებების შესახებ, რომ ამ მეთაურის ავტორის პოტენციაში ბოლშევიკური სისხლი არ სჩქეფდეს. „მეფის გენერლების“ დამარცხება, რუსეთის იმპერიალიზმის დამარცხება და პატარა ერების განთავისუფლება იქნებოდა საბოლოოთ, მაგრამ ჩვენი გულწრფელი სურვილი იქნებოდა „სახ. საქმი“-ს თანამშრომლები გამონახავდენ იმ წერილობითი საბუთებს, რომელიც ჩვენმა მხედრობამ სოხუმში ნახა ამას წინად. ამ საბუთში დეტალურად არის აღნიშნული რუსეთის ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაკეთების საჭიროება, რასაც ხელს აწერს დენიკინელთა შტაბი. განსხვავება ქართველ ფედერალისტების ფედერალიზმსა და დენიკინელთა ფედერალიზმს შორის მხოლოდ ისაა, რომ ჩვენი ფედერალისტები სოციალისტებია და დენიკინი კი არა; მაგრამ ყოველ შემთხვევაში უფრო დარბაისლებს ფედერალისტებს შორის, ხომ მაინც არ სწამთ დღესვე სოციალიზმის განხორციელება. რა უშლით ხელს, რომ დენიკინის ფედერალისტობა იწამონ და უფრო დიდი მაშტაბის სახელმწიფოში სოციალისტური ელემენტების კონცენტრაცია მოახდინონ. ამ გზით უფრო მალე ეზიარებოდენ სოციალიზმს, მაგრამ თ. ღლონტის პარტიას გულწრფელად ჰგონია, რომ ნამდვილი ფედერალისტები, მხოლოდ გაზ. „სახ. საქმის“ რედაქციაში მუშაობენ, იმდენად დარწმუნებულნი არიან თავიანი პოლიტიკურ რწმენის სისაღეში. ჩვენ კი გვგონია, რომ დენიკინის ყაიდის იქნება, ის თუ ბოლშევიკური და ჩვენებური ესფერების სურვილის,—ფედერაციაც ისეთივე იარაღი იქნება პატარა ერთა წინააღმდეგ, როგორიც იყო დღემდე რუსული იმპერიალიზმი. სწორედ ამიტომ ჩვენ ვერასოდეს ვერ გავიგებთ, რატომ ილაშქრებენ ასე უმოწყალოდ „მეფის გენერლების“ წინააღმდეგ ჩვენი ესფერები, თუ ყოველივე ეს რამოდენიმე ფანტაზიორ პუბლიცისტის ტვინის ქავილით არ ავხსენით.

მიწის მოქმედების სამინისტროს მოქმედება.

ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტს“ რომ კითხულობ, გულს უხარია. რა იმედები, რა დაპირებანია შიგ.

„თეთრი ნახშირი“ ანუ ელექტრო-ტექნიკა, სარწყავი არხები, სართავ-საქსოვი, რკინის, სპილენძის, ქაღალდის, ქიმიურ ნიკოიერებათა და სხ. ქარხნები თუთუნისა და აბრეშუმის პლანტაციები, ხილისა და ღვინის წარმოება, ღორის, ყველის, კარაქისა და სხ. კეთება, ერთი სიტყვით, რასაც კი გული და სული ინატრებს, ყველაფერი ჩამოთვლილია.

ხსენებული ჟურნალი ერთი მხრით მართალია: საქართველოს ბუნება იმდენად მდიდარია, რომ ყველაფერის გაკეთება შეუძლია, პატრონი რომ ყავდეს.

აიღეთ მაგალითად, ბორჩალოს მაზრა. რა სიმდიდრე გნებავსთ, რომ შიგ არ იყოს: სპილენძი, რკინა, ნაყოფიერი მიწის ნიადაგი, საღი ჰაერი, წყლები-უხვად მომადლებული აქვს.

ომის წინ აქ ჰარხლის თესვა სცადეს ცდამ მოლოდინს გადაამეტა. აქაურ ჰარხალში თითქმის ორჯერ მეტი შაქარი გამოვიდა, ვიდრე უკრაინისაში! და, ომი რომ არ დაწყებულიყო, შაქრის წარმოება ჩვენში იმდენად განვითარდებოდა, რომ, უეჭველია, დღევანდელს ფინანსიურ კრიზისს თავიდან აგვაშორებდა.

კიდევ კარგი, რომ ზოგიერთს მრეწველს გაახსენდა ბორჩალოს მიწის ნიადაგის ნაყოფიერობა და სიკეთე. საჭარხლო მეურნეობისათვის, შეადგინეს შაქრის მწარმოებელთა ამხანაგობა, იშოვეს ფული, გამართეს მოლაპარაკება უკრაინასთან საჭირო მანქანების მოტანის შესახებ და მოლაპარაკება სასურველი შედეგით დაბოლოვდა. მაგრამ ფონმა საქმე იქ დაახრჩო, სადაც არავინ მოელოდა.

და-ლა ბევრი ვილაპარაკო: საქმეს სამინისტროებმა შეუშალეს ხელი.

მოგეხსენებათ, შაქრის ქარხანას—ბევრი ჰარხალი სჭირდება, ბევრ ჰარხალს კი—დიდი მამული, აბა ნ. ხომერიკის სამინისტრო, რომელსაც წვრილი სამიწის მოქმედო მეურნეობა მიზნად დაუსახავს, როგორ გაიმეტებდა საიჯაროდ ექვსიათას დესეტინას! ეს ხომ კაპიტალისტური მიწათმფლობელობა იქნებოდა!

და მოლაპარაკება სახაზინო მიწის იჯარით აღების გარშემო იმდენხანს გაჭიანურდა, ვიდრე უკრაინაში ორი პოლიტიკური გადატრიალება არ მოხდა და ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში არ გადავიდა!

ახლა კი თქვენს მტერს ნურა მიუღია რა, ბოლშევიკებისაგან ჩვენ ყველაფერი მივიღოთ!

აღსანიშნავია იმავე დროს, რომ მიწისმოქმედების სამინისტრო, რომელმაც ამ საქმისათვის ხუთიათასი დესეტინა ძლივს გაიმეტა, ახლა კიდევ ედავება მრეწველობს და ათასი დესეტინის ჩამოსჭრას აპირობს.

რატომ? რისტვის? პირიქით, რატომ ათი ათასი დესეტინა არ უნდა მოუზომოს?! მაგრამ სამიწისმოქმედო სამინისტრო თავისი მოქმედების ანგარიშს სვავის აძლევს?!. მაშ ფუჭია შეკითხვა.

ამგვარად, მთავრობას, რომ ამ საქმისთვის ხელი არ შეეშალა, ახლა უკვე საკუთარი შაქრის პლანტაცია და ქარხანა გვექნებოდა. მერე რა მნიშვნელობა ექნებოდა! ერთი მხრით, გაუმჯობესდებოდა ხალხის საზრდოობა; მეორე მხრით, აძერბეიჯანში სპარსეთის, ოსმალეთი და მთიულეთი გაგვიცვლიდენ შაქარში: პურს, ბრინჯს, ნავთს, ფართალს, მანქანებსა და სხ.; მესამე, გაიაფდებოდა ხსენებულ საქონელთა შემოტანით ყოველგვარი საქონელი; მეოთხე, შესაძლებელი შეიქნებოდა საკუთარი ფულის მოჭრა. საკუთარი ვალიუტის შექმნა.

ასეთი საქმე ჩაშალა მიწის-მოქმედების სამინისტრომ! მაგრამ განა მარტო ეს საქმე?!

ქვერი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

აჯანყება ჩეჩნეთში.

გაზ.“ უტრო იუგა“ იუწყება, რომ 10 მარტს გროზნის რაიონში მოხდა საშინელი და სისხლის მღვრელი ომი მოხალისეთა ჩეჩენთა შორის. მიზეზი ომისა ის იყო რომ ჩეჩნეთის აულებში არ მიიღეს მოხალისეთა კომანდის ულტიმატუმი, რომელიც მთიელთა მთავრობის მიმართ იყო მიმართული. 17 მარტს მოხალისეები დაინძრენ აულების წინააღმდეგ სამხედრო წესით, აიღეს რამდენიმე მათგანი. გაუჭირდათ მხოლოდ ალგან იურტის აღება, რომელიც ბოლშევიკების რეზიდენციად ითვლებოდა.

თვითეული ოჯახის აღება ცალცალკე უხდებოდათ და შტიკებით მიჰქონდათ ერიში კერძო სამოსახლოზე. საღამო ჟამს აულებიდან გაძევებულ იქნენ ჩეჩნები, მაგრამ ეს უკანასკნელნი მაინც კონტრიერიშებისათვის ემზადებოდენ. ხანგრძლივი სისხლისღვრის შემდეგ დარწმუნდენ, რომ მოხალისეთა მრავალრიცხოვან არმიას ვერ გაუმკლავდებოდენ, შესწყვიტეს ომი და გაუგზავნეს თავიანთი წარმომადგენელები მორჩილების გამოსაცხადებლად. შეპირდენ აგრეთვე ყოველგვარი მოთხოვნილების შესრულებას.

ომში დაიღუპა ათასამდე წითელი ლაშქარი და ჩეჩნები. გარდა ამ ზარალისა ჩეჩნები შეპირდენ მოხალისეებს იმ სამი ათასი წითელი ლაშქრის ჩაბარებას, რომელნიც ვლადიკავკასისა და გროზნის დაცემის შემდეგ ჩეჩენთა სოფლებში კაიხიზნენ.

მთავრობაში

26 აპრილის სხდომა.

სხდომას დაესწრენ მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნ. ნ. ჟორდანია, მინისტრები: ბბ. რამიშვილი, ხომერიკი და კანდელაკი.

სახელმწიფო კონტროლიორი: ბ-ნი გოგიჩაიშვილი. მინისტრთა ამხანაგები: ბბ. ერაძე, ჭიჭინაძე, გედევანიშვილი, ცინცაძე და გელეიშვილი. საქმეთა მართველი ბ. ჯაფარიძე, მდივანი ბ. ლომთაძე.

შმაგაილოვის და ქუჩარიანცის სასჯელის შეცვლა. შმაგაილოვსა და კუჩერიანცის სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ 12 წლის კატორღით.

ასიგნაციების განაღდება. პრინციპიალურათ მიღებულ იქნას, პირველად ბერვლამდე გაცემული ასიგნების განაღდება, მხოლოდ თვითეულ კერძო მოქმეთხვევაში სამხედრო უწყებამ გამოითხოვა დასტური ფინანსთა მინისტრისა და სახელმწიფო კონტროლიორისა.

გზის ხარჯები. ჯარის კაცთა რკინის გზით გასაგზავნ-გამოსაგზავნ ხარჯების დასაფარავათ გადაიღოს 100,000 მანეთი.

საფოსტო ნიშნები. წარმოდგენილი პროექტი საფოსტო (მანათიან) ნიშნებისა დამტკიცებულ იქნეს. დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს გასცეს სათანადო განკარგულება უკვე დამზადებულ საფოსტო ნიშნების ხმარებაში გასვლის შესახებ.

უდავო ტერიტორიის საქმეები უდავო ტერიტორიის საქმეები, როგორც საქარხნო ისე საფაბრიკო ინსპექციისა გადაეცეს ბათუმის ადმინისტრატიულ საბჭოს და სომხეთის მისიის წარმომადგენელებს.

დახმარება ქართ. მხატვართა საზოგადოებას. მიეცეს ქართულ მხატვართა საზოგადოებას 10000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან გამოფენის მოსაწყობათ — მიეცეს ბიხოვს 25000 მანეთი ჩამორთმეულ მანქანების საფასურათ.

კრედიტების გახსნა. 1. გაგრძელებულ იქმნა 1919 წ. 31 მაისამდე ნებართვა სახელმწიფო დაწესებულებათა თვიურ ხარჯების ნუსხაში აღნიშნულ რაოდენობის მიხედვით კრედიტების გახსნისა, მხოლოდ არა უმეტეს 48,500000 მანეთის თვეში.

2. ნება დაერთოს აღნიშნულ დაწესებულებათ შესანახავათ გაიღონ მომავალ მაისის თვეში ის კრედიტები, რომელნიც ეხსნებოდათ 1 მუხლში აღნიშნულ თანხის დასამატებლათ უწყებებს, თანახმად საქართველოს პარლამენტის სათანადო კანონებისა.

3. სათანადო დეკრეტები შეტანილ იქნას დამფუძნებელ კრებაში.

არეულობა ეგვიპტეში.

ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის“ მარტის 31 ნომერში დაბეჭდილია ეგვიპტის ამბების შესახებ შემდეგი.

ქაიროში, როდესაც გაიგეს რეშდიფაშის სამსახურიდან დათხოვნა—მდგომარეობა გართულდა. როცა გაიგეს, რომ დაპატიმრებულია ზაგული და სამი ფაშა—ნაციონალისტი, მათი მომხრეები შეეცადნენ გამოეწვიათ არეულობა. ამიტომ მარტის 10-ს პოლიცია და ჯარი იძულებული იყო ქუჩაში არეულობის მომწყობთა წინააღმდეგ იარაღი ეხმარა. არიან დაჭრილ-დახოცილნი.

გუშინ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები გაიფიცენ. მოძრაობა დაიწყო უფლებათა ცოდნის სკოლაში და მალე მოედო საინჟინერო, სამედიცინო და სამეურნეო სასწავლებელს დღეს. კი მათ მიემხრენ საშუალო სკოლებიც.

გუშინ სტუდენტებმა გამართეს ვაგზალში დემონსტრაცია, რადგან ეგონათ, რომ იმ ოთხ ფაშას იქიდან გაგზავნიდნენ, მაგრამ ფაშები წყნარად და ხალხის ჩუმად წაიყვანეს და ახლა მალტისაკენ მგზავრობაში არიან. სტუდენტებმა დემონსტრაცია მოახდინეს გუბერნატორის სახლის წინ, სადაც მათ შეუერთდენ უფრო თავზე ხელაღებული ელემენტები ელ-ზარიდან.

დღეს დემონსტრაციები ჰხდებოდა მთავარ ქუჩებსა და მთავრობის ყველა დაწესებულებათა წინ, არბევდნენ მაღაზიებსა და ტრამვაის.

პოლიცია რომელსაც ინგლისის ჯარი მიეშველა—სროლა დაუწყო ბრბოს. რამდენიმე დემონსტრანტი მოკლულია, რამდენიმე კიდევ დასჭრეს. დააპატიმრეს მრავალი. ხედივის სასახლეს და მის კერძო რეზინდენციას ინგლისის ჯარი იცავს. ქუჩებში ინგლისელების პატრულები დადის.

მარტის 11 დემონსტრაციები გრძელდებოდა და ხელახლა იძულებულნი იყვნენ ხალხისათვის ესროლნათ.

ალმა ალლენიომ გამოსცა პრო-
ა, რომელნიც მოაგონებს ხალხს
ო კანონების არსებობას. ქალა-
ლიერებული სამხედრო პატრულე-
ის.

ოდან ორმოცდაათ ვერსზე ტანრა-
ათასი კაცი შეეცადა აეღო რკი-
ს სადგური.

ის 13 ეგვიპტის ჯარის მთავარ-
ბა გამოსცა გაფრთხილება „ყვე-
ი, ვისაც ეს ეხება“, იქ ნათქვამია:
აფუჭებს რკ. გზას, ტელეგრაფის
ეფონის მავთულებს, ან შეეცდება
ს—გადაეცემა სამხედრო სასამარ-

ულ ცნობებით ჭაირში მოკლულია
, 31. ტანტის ახლო მოკლულია
ი, დაჭრილია 51.

ოკრიბის საქმეები.

ყოველთვის ვებრძოდით უსამართ-
, როდესაც მას შევნიშნავდით—
ემაღლებდით და სამართლის აღდ-
მოვითხოვდით.

მოვიქეცით როდესაც ოკრიბაში
ეცია ჩადგა და მშვიდობიანი მცხო-
ააწიოკეს. მხოლოდ ჩვენმა პრე-
მაღლა ხმა: მოითხოვა ქუთაისიდან
ელი რაზმი მოეხსნათ, საქმე გამოე-
და უდანაშაულოთა დამსჯელნი პა-
გებაში მიეცათ.

ნ იმ დროს არ გამოგვეხმაურა სო-
ისტური მიმართულების პრესა. არად
ალეს მთელი რაიონის აწიოკება, მა-
იმ ფაქტებმა რომელიც შეძლების-
რათ ჩვენ აღვნიშნეთ—მთავრობა
ქრა და საქმის გამოძიებასაც შეუდ-

ოგორც ვიცით ადმინისტრაციის ინ-
ორის თანაშემწე გეგელაშვილი თვი-
წავიდა ოკრიბაში საქმის გამოსაძიე-
ლ. დააპატიმრა რამდენიმე ადგილო-
ი მცხოვრები, რომელნიც ადეიშ-
დიდ დახმარებას უწევდენ. თვითონ
შვილი, რომელიც ქუთაისის სისხ-
სამართლის მილიციის უფროსათ იყო
ხურიდან დაითხოვა და შინაგან სა-
ა სამინისტროს წარუდგინა ვრცელი
ენება და საგამომძიებლო ოქმი.
ენ მოვითხოვთ დიდი ყურადღება ექ-
მიქცეული ამ საქმეს და დამნაშავენი
ეკათ დაისაჯონ.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

რევიზია საშუალო სასწავლებლ-
. განათლების სამინისტროს განკარ-
ებით ამ ჟამათ ქუთაისის საშუალო
წავლებლებს რევიზიას უკეთებს ბბ. კ.
ალქელიძე და ზანდუკელი.

ი. ოცხელის გარდაცვალებიდან
მოცი დღის შესრულების გამო, სამ-
ათს 6 მაისს კათოლიკეთა ეკლესიაში
ახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი.

შმაგაილოვის და კუჩარიანცის
ქმე. მთავრობამ საქართველოს რეს-
ბლიკის ცნობილ მოღალატეებს შმა-
ალოვს და კუჩარიანცს სიკვდილით დას-
12 წლის კატორღათ შეუცვალა.

მკვლელობა. გუშინ 3 მაისს,
ვანე ბაზარში ვლადიმერ ყუფარაძემ პი-
დი ინტერესების გამო მოჰკლა რაჟდენ
რხალაშვილი.

პარტახიანი სახადი ქუთაისში უკ-
კლებულობს, მაგრამ როგორც სოფ-
ებიდან გვატყობინებენ ამ სახადმა იქ
აიდგა ფეხი და ხალხს მუსრს ავლებს.

ნინო—ჩხეიძის იუბილე. ამ მოკლე
ნში დამსახურებულ მსახიობ ქალს ნი-
ო ჩხეიძეს გაუმართავენ იუბილეს მისი
სცენო მოღვაწეობის გამო.

**ერ—ვნულ დემოკრატიული პარ-
ია პატრიკეთის თემში** ერობის წვრი-
ი ერთეულის ხმოსნებათ ადგენს შემ-
ეგ პირებს.
) კონსტანტინე დიმიტრის ძე შარვაში-
ე (მუშა) 2) სერაფიონ იოსების ძე შე-
ელია (სამხედრო მოხელე) 3) თადეოზ
გლახუას ძე ჯიკიძე (მუშა) 4) იოსებ
ელიზბარის ძე ნარჩომაშვილი (ფერშალი)
5) პეტრე იოსების ძე ჯიგნარაძე (მუშა)
6) გიორგი მიხეილის ძე აგიაშვილი (მუ-
შა) 7) გიორგი ბესარიონის ძე კახაია
(მღვდელი) 8) გიგო გლახუას ძე ჯიკიძე
(მუშა) 9) პეტრე გიორგის ძე ჩხობაძე
(მუშა) 10) ფილიპე ექვთიმეს ძე ჩხობაძე
(მუშა) 11) ბესარიონ ჯანელიძე (მუშა)
12) ილარიონ ირაკლის ძე შენგელია
(მუშა).

სიკვდით დასჯა. გუშინ სასამარ-
თლომ გაარჩია ოფიცერ ლანჩავას მკვლე-
ლის მეფარიშვილის საქმე, რომელსაც
სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ყარსის ოლქის ლტოლვილნი.
ყარსის ოლქის გენერალ გუბერნატორი
ყორღანოვი ატყობინებს სომხეთის მზრუ-
ველობის სამინისტროს წარმომადგენელს
თფილისში, რომ აუცილებელია დაჩქა-
რებით მოეწყოს ლტოლვილთა სამშობ-
ლოში დაბრუნების საქმეო.

ბათომის ოლქის ლტოლვილნი.
ორშაბათს თფილისიდან ბათუმისაკენ გა-
ვა ბათუმის ოლქის ლტოლვილთა 1 მა-
ტარებელი.

სოფლეთში

ვანი.

ერევნიდან იტყობინებიან, რომ ოსმა-
ლებმა აქ ვანი გასწმინდეს. წასვლის წინ
მცხოვრებლებს გამოუცხადეს: "ვისაც არა
გსურთ სომხეთს დაემორჩილოთ, ჩვენ წა-
მოგვყევითო".

გენ. მილნი.

გენ. მილნი ერევანში ჩავიდა, იქიდან
ყარსში გაემგზავრება.

ყარაბალი.

აპრილის 23-ს შუშაში შესდგა ყარა-
ბალის სომეხთა ყრილობა, რომელზედაც
პოლკ. შატელვერტი დაესწრო.

ყრილობამ ერთხმად დაადგინა აზერ-
ბეიჯანის მთავრობას არ დაემორჩილოს.

პოლკ. შეტელვერტი შეეკითხა სომ-
ხებს, თუ რაზე ეყრდნობიან, როცა ასე-
თი დადგენილება გამოაქვთ. ყრილობის
წევრებმა უპასუხეს, რომ მათ მოკავშირე-
თა იმედი აქვთ, მიუხედავად ამისა მეო-
რე დღეს პოლკოვნიკმა შატელვერტმა
გრძანება გამოსცა, რაშიაც უბრძანებდა
მცხოვრებლებს აზერბეიჯანის გუბერნა-
ტორს დამორჩილებოდნენ, რომელიც
იმავ დროს ინგლისის წარმომადგენელიც
არისო.

დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ.). 30 აპრ.

ინგლისური პრესა.

უთანხმოება საზავო კონფერენციაზე.
ლიონიდან იუწყებიან, რომ იტალიის
ინციდენტმა ძალიან მეაფერხა საზავო
კონფერენციის მუშაობა. ამ ჟამად დელე-
გატები დაბეჯითებით არკვევენ საქმეს.
ამერიკის წარმომადგენელნი იმ აზრის
არიან, რომ „მეხმა ჰაერი გასწმინდა“.
სხვები ნაკლების ოპტიმიზმით უყურებენ
ამას და გრძნობენ, რომ მუშაობაში შე-
ტანილი იქმნა განხეთქილების ელემენტი,
რაც იმაში გამოიხატა, რომ მუშაობა შე-
ფერხდა სწორედ გერმანიის დელეგატების
მოლოდინში. შექმნილ მდგომარეობას
საფრანგეთი ფრიად სერიოზულად სთვლის
და ზოგს კი უიმედოდ მიაჩნია იგი, მაგ-
რამ ასეთ უკიდურეს აზრს მხოლოდ მცი-
რე ჯგუფი იზიარებს.

ფიუმეს საკითხი.

ინგლისის და საფრანგეთის პრემიერე-
ბმა ორლანდოს, რომში წასვლის წინ,
ფიუმეს შესახებ გადასცეს წერილობითი
განცხადება, რომელშიაც მათი აზრი იყო
გამოთქმული ამ საკითხზე.

2 მაისი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ლიონიდან იუწყებიან, რომ კონფე-
რენციამ ერთხმათ მიიღო ხალხთა ლი-
გის ხელშეკრულების ტექსტი მასში შე-
ტანილია დამატებანი, რომელნიც აღ-
ნიშნავენ, რომ ლიგიდან გასვლა შეიძ-
ლება 2 წლის შემდეგ. ლიგის რეზიდენ-
ცია იქნება ჟენევაში, მაგრამ შეიძლება
მისი სხვა ადგილზედაც გადატანა. არბი-
ტრაჟი ლიგის წევრთათვის სავალდებუ-
ლოა ყოველთვის, როცა კი შეთანხმება
ლიგის წევრთა შორის დაირღვევა. ლიგა
მფარველობას გაუწევს ისეთ ორგანიზა-
ციას, როგორიც წითელი ჯვარია. შრო-
მის დასაცავი ზომები საზაო ხელშეკრუ-
ლებაში იქნება შეტანილი. მონაწილეებს
შეუძლიათ არ მიიღონ შეტანილი შეს-
წორებანი, მაგრამ მაშინ მოვალენი არიან
ლიგიდან გავიდენ. ლიგის მთავარ მდივ-
ნათ დაინიშნა სერ დრუმონდი. იაპონიის
შესწორებას რასათა თანასწორობის შე-
სახებ და საფრანგეთის შესწორებას
შეიარაღებაზე და სხ. კონტროლობის შე-
სახებ, ლიგა ხვალ განიხილავს.

გერმანიის დელეგაციას პირველი ნა-
წილი გუშინ ჩამოვიდა ვერსალში. გერ-
მანიის უკანასკნელ რწმუნებულებს სამშა-
ბათს, ან ოთხშაბათს მოელიან.

გოლშევიკური ცნობები

მოსკოვი. აპრ. 22. **ბუდაპეშტი.**
აპრ. 29. რუმინიის წინსვლა ბევრ აღ-
ვილს შეეჩერეს. წითელი არმია კონტრ-
შეტევაზე გადავიდა და რამდენიმე დღის
წინათ დატოვებული ქალაქები დაიჭი-
რა.

ბერლინი. აპრ. 29. საერთაშორისო
სოციალისტურ კონგრესზე გერმანიის
წარმომადგენლებათ დაინიშნენ შეიდემა-
ნელები, მიულერი და ველსი. მათ უკვე
მიიღეს საჭირო ქაღალდები ამსტერდამში
წასასვლელათ.

ლიონი, აპრ. 29. საზავო კონფერენ-
ციის საერთო სხდომაზე გამოირკვა, რომ
ყველა დელეგატები მხარს უჭერენ ხალ-
ხთა ლიგის შექნას, თუნდაც მის შემად-
გენლობიდან 2 სახელმწ. გამოვიდეს.

პარიზი, 29 აპრ. რომში კვირინალის
მოედანზე მომხდარ დემონსტრაციების
დროს ხალხს სიტყვით მიმართა ორლან-
დომ, რომელმაც თავის სიტყვა ასე დაამ-
თავრა: იტალიამ ითმინა შიმშილი, მაგ-
რამ არას დროს არ მოითმენს უსინდისო-
ბას. მისმა სიტყვამ დიდი ტაშის კვრა გა-
მოიწვია. ხალხმა ოვაციები გაუმართა იტა-
ლიის ჯარის მთავარ სარდალს დიაცულს,
რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროების
დროს ჯარი და ფლოტი ყოველთვის მზათ
არის შეასრულოს თავისი მოვალეობა.
მანიფესტაციები მთელ იტალიაში გრძელ-
დება. გუშინ ფიუმეში ეროვნულმა საბჭომ
ძალა უფლება და რწმუნებულება იტალ-
იის მთავრობას გადასცა.

ინგლისური პრესის ცნობები.

საზავო კონფერენციის სხდომაზე იტა-
ლიის წარმომადგენელთა 3 ადგილი თა-
ვისუფალია, იტალიელები სხდომას არ
დაესწრებიან. იტალიის საკითხები სხვა
საკითხებით დაიჩრდილა. საზავო ხელშე-
კრულება საბოლოთ იქნა დამუშავებული
და წარედგინება გერმანელებს, რომელ-
თაც პასუხს მოელიან.

იაპონიის დელეგატებმა დღეს სამთა
საბჭოს პასუხი მიიღეს და იაპონიის სა-
კითხი გადასწყდა, როგორც სჩანს, ია-
პონიამ მიიღო კიოჩაო და გერმანელების
კონცესიები ჩინეთში იმ პირობით, რომ
შემდეგ ეს კონცესიები განსაკუთრებული
პირობებით ჩინეთს გადასცენ თუ აღია-
რებულია იაპონიის უფლებები ჩინეთის
ტერიტორიაზე. ეს დიდი გამარჯვება იქ-
ნება იაპონიისთვის, ბევრის აზრით კი
ილსონის 14 პუნქტი არ შეეფერება,
ცვლილება, რაც მაკინომ გრძელ სიტყვა-
ში აღნიშნა, რომ არ თანხმდება ისეთ
ხელშეკრულების დამტკიცებას, რომე-
ლიც არ დაამყარებს თანასწორობას და
უმთავრესათ ხელს შეუშლიდა ერთსულო-
ვანებას კონფერენციის გახსნის წინ 2
საათ. ადრე მეკინოს ეუწყა გადაწყვეტი-
ლება კია-ჩაოს შესახებ, რამაც მდგომა-
რეობა სრულიად შესცვალა, ხოლო მა-
კანომ თავის სიტყვა გადაასწორა. ყველა
ამის გამო ბევრი ფიქრობს, რომ კიაო-
ჩაო საზავო ხელშეკრულების მოწერაში
ხმას მისცემს იაპონელებს. ეხლა იაპონიას
არა სურს მიატოვოს კონფერენცია, ამ-
ბობენ, რომ იაპონიის საკითხის ამ გვა-
რათ გადაჭრან ძლიერი შთაბეჭდილება
მოახდინა. მოსალოდნელია. რომ ეს დიდ
უკმაყოფილებას გამოიწვევს იტალიის
მხრით.

პარიზის მცხოვრებნი სრულიად გულ-
ცივათ შეხვდნენ გერმანელების ჩამოს-
ვლას. მათვის დიდი ხანია, რაც კონფე-
რენცია ახალი ამბავი არ არის და იმდე-
ნათ ინტერესს იწვევს, რამდენსაც მთავ-
რობის სხდომები მცხოვრებნი ისე უყუ-
რებენ კონფერენციის, როგორც მუდმივ
დაწესებულებას თვით ვერსალში არი
ნაკლებით აღმოაჩინეს ცნობის მოყვარეო-
ბა და გერმანელების ნახვის სურვილი.
უკანასკნელთა დასაცავათ დაინიშნა ფრან.
ჯარისკაცების ყარაული ვერსალიდან 3
ვერსის სიშორეზე მყოფ სადგურიდან
გერმანელები ავტომობილებით წააყვანეს
მათთვის დანიშნულ შენობებში, როდე-
საც უკვე დაბინდდა. ეს ეწინააღმდეგება
იმას, რაც მოხდა 1870 წელს.

სამთა საბჭო მაკანოსთან მოლაპარა-
კების შემდეგ გადავიდა ბელგიის მოთხო-
ვნილების განხილვაში რომელიც, როგორც
ამბობენ გამოსთქვამს უკმაყოფილებას ამის
გამო რომ მისი მოთხოვნილებანი არ
დააკმაყოფილეს.

ხუთშაბათს ბრიტანიის დელეგაცი-
ამ წარმოადგინა ლიგის ხელ შეკრულების
შესახებ განმარტებანი, რომლებიც გამო-
ხატავენ ბრიტანიის დელეგაციის აზრს და
რომლებსაც ზოგიერთი ცვლილებები შე-
აქვთ კვირას წარმოდგენილ ოფიციალურ
ტექსტში! მონროეს დოქტრინის შესახებ
განმარტებაში ნათქვამია § 21 განმარ-
ტავს, რომ ამ ხელშეკრულობას მიზნათ
არა აქვს გააუქმოს მთლიანათ ან ნაწი-
ლობრივ სხვა რომელიმე შეთანხმებანი,
რამდენათაც უკანასკნელი არ ეწინააღმ-
დეგება იმ ხელშეკრულების პირობებს,
რომელიც შეუძლიათ დასდონ ერთმანეთ-
თან ზავის დამტკიცების მოშორნე ლიგის
წევრებმა. ასეთ შეთანხმებათ ჩაითვლება
განსაკუთრებული ხელშეკრულებანი იძუ-
ლებითი არბიტრაჟის შესახებ და სამხედ-
რო თავდაცვითი ხელშეკრულებანი.

მონროეს დოქტრინა და მაგვარი შე-
თანხმებანი უკანასკნელთა კატეგორიას
მიაწერეს. იტალიამ ცხადჰყო, რომ ასე-
თი ხელშეკრულებანი პატივმოყვარეობის
იარაღათ არ გადაქცეულა და პირიქით,
მშვიდობიანობას უზრუნველყოფდა. მონ-
როეს დოქტრინის წარმოშობა კარგათაა
ცნობილი. იგი შეიქმნა 1328 წელს, იმ
მიზნით, რომ ამერიკა ევროპის აბსო-
ლუტიზმის ბრძოლის ასპარეზათ არ გა-
დაქცეულიყო. ეს დოქტრინა თავდაპირ-
ველათ ამერიკის საგარეო პოლიტიკის
საფუძველი იყო. შემდეგ მან საერთაშო-
რისო შეთანხმების ხასიათი მიიღო და
რასაკვირველია, შეერთ. შტატების მცხოვ-
რების სრული უფლება აქვთ მოისურვონ,

რომ ხელშეკრულებამ ეს აღიაროს, არსებითად მონროეს დოქტრინა იგივე ხელშეკრულებაა და მართლაც § 10 ში გამოხატულია ისე რომ თუ ოდესმე ამერიკის და ევროპის სახელმწიფოთა შორის ამის შესახებ რაიმე უთანხმოება მომხდარა. მას ლიგა გამოარკვევს, განმარტებანი განსაკუთრებათ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ მონროეს დოქტრინას საერთაშორისო ხელშეკრულებას მნიშვნელობა მიეცა.

გერმანული პრესის ცნობები.

პოლონელების ცნობა, ვითომ ვილნო პოლონეთის ჯარს დაეჭიროს, გამოგონილია. ვილნოში შიმშილისაგან გატანჯული მცხოვრებლები აჯანყდენ და ბალშევიკები გარეკეს. მოსკოვიდან მოვიდა პოლონელ ბოლშევიკების პოლკი, რომელიც აჯანყებულებს შეუერთდა. შემდეგ მიღებულ ცნობებით, პოლონეთის ლეგიონერები ქუჩებში გამართულ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ.

ინგლისის ბატალიონმა აგრამი დასტოვა, მოსალოდნელია, რომ ფიუმსლბელი პოემისციტით გადაწყდება.

კლემანსომ 25 აპრილს ტელეგრაფით მოსთხოვა გერმანიას, რომ მან ვერსალში გაგზავნოს სტატისტიკური ცნობებით შეიარაღებული შემდეგი ექსპერტების კომისია: სურსათის მოწოდების, ზღვის ტრანსპორტის და საკომერციო საკითხის. გერმანიის მთავრობამ ამაზე უპასუხა: „გერმანიის სამშვიდობოთ დელეგაციას ყავს ეკონომიური და სამრეწველო საკითხების 25 სპეციალისტი დელეგატი და თუ კიდევ დამატებითი კომისია იქნება საჭირო, გერმანია სასწრაფოთ გაგზავნის ვერსალში.“

ქაღალდის ფული-მისი ეკონომიური მნიშვნელობა.

რა არის ქაღალდის ფული, ეს ყველამ იცის, მაგრამ ზოგიერთებმა არ იციან მისი ნამდვილი მნიშვნელობა, როგორც საშვალება საქონლის გაცვლა გამოცვლის დროს ერთის მხრივ, და როგორც საქონლის ფასის მაჩვენებელი მეორეს მხრივ.

ნამდვილად კი, ქაღალდის ფული არ არის ფული, ის არის მხოლოდ ფულის ნიშანი, სიმვოლიური გამოხატულება ნამდვილი ოქროს, სპილენძის, ვერცხლის და სხვა ფულებისა, და მისი ბრუნვაში აღმასრულებელი ნამდვილი ფულის ფუნქციებისა. სახელმწიფოში მარტო ოქროს, ვერცხლის და სპილენძის ფულების ტრიალს მოყვებოდა შეზღუდვა საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და ფულის ბრუნვისა, იმისთვის რომ გადაგზავნ-გადმოგზავნა ამნაირი ფულისა, განსაკუთრებითი დიდი თანხისა მოითხოვდა დიდი დროს და შრომის დაკარგვას. აი სწორედ ამისთვის არის რომ ფულის ტრიალის გასაუმჯობესებლად სახელმწიფო გამოუშვებს ხმარებაში ქაღალდის ფულებს, რომლის ერთი ხელიდან მეორე ხელში გადასვლა არ წარმოშობს არავითარ დაბრკოლებებს მიუხედავათ იმისა, რომ ქაღალდის ფული არ არის ნამდვილი ფული სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ის თავისი ტრიალის დროს მიღებულია როგორც ფული, და ღებულობენ გადასახადში როგორც ასეთს. რითი აიხსნება ქაღალდის ფულის ფასი?

რა საკვირველია რომ ყველა მიაქცევდა ყურადღებას იმ წარწერას, რომელიც არის ქაღალდის ფულზე (ჩვენსაზე თუ არ არის ალბათ შემდეგ ექნება წარწერა ჩვენ ახალ ქაღალდის ფულებს, და თუ არც შემდეგ ექნება, მნიშვნელობა მაინც ასეთი აქვს) რომ მისი გაცვლა ოქროს ფულში არის უზრუნველყოფილი მთელი სახელმწიფო ქონებით. აი სწორედ ეს სახელმწიფოებრივი მოვალეობაა გადაუხადოს ქაღალდის ფულის წარმდგენს მაზე აღნიშნული რაოდენობა ნამდვილი ფულით, აძლევს მას ნამდვილი ფულის მნიშვნელობას. მიუხედავათ სახელმწიფოს ასეთი მოვალეობისა, მის ცხოვრებაში ხვდება ისეთი მოვლენები, რომ ქაღალდის ფულის ოქროს ფულში გაცვლის დროს, ხაზინა იძლევა არა იმ რაოდენობას, რომელიც მასზე არის აღნიშნული, არამედ შედარებით ნაკლებს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოში მოხდა ისეთი რამ, რომელმაც არია მისი საქმის სწორ გზაზე სიარული, და რომელმაც გავლენა იქონია ქაღალდის ფულის ფასზე და დასცა მისი კურსი.

რაზე არის დამოკიდებული ქაღალდის ფულის ფასობა ან და უფასობა?

უმთავრესი მიზეზი, რომელსაც გავლენა აქვს ქაღალდის ფულის ფასის დაცემაზე ეს არის ორი — 1. უზომოთ მათი ხმარებაში გამოშობა რომელიმე სახელმწიფოს მიერ და — 2 კი საერთოდ მთელ სახელმწიფოში ვაჭრობა მრეწველობის რაიმე მიზეზით.

თუ სამრეწველო წარმოება და ვაჭრობა სულ ყოველთვის ვითარდება, მაშინ თანაბრად ამ განვითარებისა იზრდება მოთხოვნა ფულზე, ამ შემთხვევაში ახალი ქაღალდის ფულის გამოშვებას არავითარი გავლენა არ აქვს მისს ფასზე, და უკანასკნელი რჩება ნორმალურ ოქროს ფულთან დამოკიდებულობის დროს. მაგრამ თუ სახელმწიფოში დაიწყო ვაჭრობა მრეწველობის კრიზისი, ამ შემთხვევაში მცირეოდენი ქაღალდის ფულის გამოშობას მოყვება მისი ფასის დაცემა და თანაბრათ საქონლის გაძვირება.

რით აიხსნება ასეთი მოვლენები?

სახმარებლად გამოშვებული ქაღალდის ფული მიდის საქონლის შესაძენათ; ყოველი ახალი ქაღალდის ფულის გამოშვების დროს ხდება ახალი შესყიდვა, და მაშასადამე ახალი მოთხოვნა საქონელზე. გადიდებული მოთხოვნა საქონლისა, როგორც ვიცით მაღლა სწევენ მის ფასებს, განსაკუთრებით მაშინ თუ არ მზადდება იმდენი საქონელი, რამდენსაც მოთხოვნილება შეიცავს; ხდება საერთო გადიდება საქონლის ფასების და ამავე დროს დაცემა ფასის ქაღალდის ფულისა. ხდება ის, რაც არის წოდებული ცხოვრების სიძვირეთ. თუ ქაღალდის ფულის გამოშვება წარმოობს შეუწყვეტათ, მაშინ მისი უზრუნველყოფა ნამდვილი ფულით ხდება თან და თან მინიმალური, ფასი მითი თანდათან კლებულობს საქონლის კი იზრდება, რაც ბოლოს და ბოლოს მიიყვანს საქმეს იმ მდგომარეობამდე, როცა ქაღალდის ფული არაფრად არ ეღირებოდა და საქონელი კი მეტათ ძვირი იქნებოდა. აი სწორეთ ასეთ მოვლენებს აქვს ჩვენში ადგილი, რაც უქადის ჩვენ ქვეყანას სრულ განადგურებას ყოველ მხრივ.

ამისათვის საჭიროა მოვძებნოთ გამოსავალი გზა, რომ თავი დავახწიოთ ჩვენს უმწეო მდგომარეობას, და შევაჩეროთ მსვლელობა იმ გზით, რომლის გაგრძელებას ჩვენის ქვეყნის გაღატაკება მოყვება.

თანამედროვე საერთაშორისო ომის უმთავრესი მიზეზებია ჩვენი ასეთი მდგომარეობის: როგორც ვაჭრობა მრეწველობის ისე სხვა მხრივაც, და სანამ ამ ომის ლიკვიდაცია არ მოხდება, მანამ ძნელია რაიმე ნორმალური პირობები იქნეს აღდგენილი, მაგრამ ჩვენი მთავრობა თუ ყოველ მხრივ რეალურ პოლიტიკას აწარმოებს, თუ ის თანდათან დაკარგავს პარტიულ თვალთახედვას, გამოძებნის ისეთ საშვალებებს, რომელიც მართლაც ხელს შეუწყობდა ჩვენ ვაჭრობა მრეწველობის აყვავებას, მაშინ შეიძლება ითქვას რომ ჩვენი მდგომარეობა უფრო კარგი იქნებოდა ვიდრე დღეს. სახელმწიფოში ხალხის კეთილ დღეობა იმდენად მაღლა დგას, რამდენად განვითარებულია ვაჭრობა მრეწველობა და დაგროვილია კაპიტალი.

ჩვენ ვიცით რომ ჩვენში კაპიტალი პატარა არის, და რომ ის იქნეს გადიდებული, ამისთვის არის საჭირო ვაჭარ-მრეწველნის შრომის გამოყენება, და ამისათვის ჩვენ თუ მარტო მაინც და მაინც პროლეტარების დიკტატურის მიზნებით ვიქნებით გამსჭვალული, არაფერი არ გაკეთდება.

მაშასადამე ჩვენი მდგომარეობა იქნება შედარებით უფრო კარგი მაშინ, თუ ჩვენ ხელს შეუწყობთ ჩვენი ქვეყნის საერთო წარმოების ზრდა-განვითარებას, მუშების ინტერესებთან ერთად იქნება დაცული ვაჭარ-მრეწველნის ინტერესებიც, რომ მათაც მიეცეთ მისწრაფება აქტიურად მოკიდონ ვაჭრობის საქმეს ხელი, აი სწორედ ამ დროს რა საკვირველია ჩვენი ვაჭრობა მრეწველობის საქმე წინ წაიწევს, რასაც მოყვება ჩვენი მანეთიანის ფასის აწევა, და ყოველი მოქალაქის მდგომარეობის გაუჯობესება. ქართველი ხალხის მისწრაფებას დღემდის შეადგენდა დამფუძნებელი კრება ყოფილიყო მოწვეული, თუმცა ბევრი იყო მისი მტრები, მაგრამ ის მაინც შეიკრიბა, რაშიაც მუშათა კლასს დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის, მაგრამ შრომელ ხალხს მარტო სიტყვით და გაზეთებში წერით კი არ უნდა გამოუჭედო ყური, არამედ გაუუმჯობესო მატერიალური მდგომარეობა. უნდა მოგახსენოთ სიმართლე, რომ მუშების მატერიალური მდგომარეობა იქ უფრო კარგია, სადაც კაპიტალს ფართედ აქვს ფრთა გაშლილი და მოქმედობს და მისი განვითარების გზაზე მას არავითარი დაბრკოლება არ შეხვდება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასმა უნდა შეიგნოს რომ მისი მდგომარეობა, რომ იქნეს გაუმჯობესებული, მარტო ის კი არ არის საკმარისი, რომ ჩვენ პროფესიონალური კავშირები შევქნათ, ან თუ გნებავთ პროფესიონალური კავშირები მჭიდროთ ერთმანეთს შეუკავშიროთ, არამედ ამავე დროს საჭირო არის ვაჭარ მრეწველობის პირობები უფრო კარგ ნიადაგზე იქნეს დაყენებული, ვიდრე დღეს არის, როგორც საშვალება კაპიტალისტური ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისა ჩვენში.

ნიკ. ცომაია.

მოწერილი ამგეგი.

სოფლის ავკარგი.

ერობის შემოღებამდის ჩვენ სოფლებს არაფერი ყურადღება არ ქონდა მიქცეული. ვერც ერობა უწევს სათანადო დახმარებას სოფელს, ან ვერც მთავრობა აქცევს ყურადღებას ღვთის ანაბარათ მიტოვებულ სოფლებს. ვერც ერთ სოფელს ვერ ნახავთ ეხლა რომ შავი სახადი არ მძინვარებდეს და უპატრონოთ მიტოვებულ ხალხს მუსრს არ ავლებდეს. არის ნაგალითები, რომ ზოგიერთ სოფლებში გაანახევრა ხალხი. რის ბრალია ყველა ეს? უსუფთაობის. ჯერ ქალაქებში არ არის სისუფთავე დაცული. ყოველ ქუჩაზე შეხვთებით მკვდარ ძაღლებს და მკვდარ ვირთხებს, სოფლებში უარესია. ვისი დაუდევრობა არის ეს? მთავრობის და ქალაქის თვითმართველობის. თუ არაფერი ზომები იქნა მიღებული, შავი სახადი კი არა უარესი რამე გაჩნდება და გაწყვიტავს ხალხს. ამიტომ საჭიროა ჩვენმა მთავრობამ ცოტა ოდენი ყურადღება მიაქციოს სოფლებს, დაგზავნოს სანიტრები და ინსტრუქტორები სოფლებში, რომ ხალხს შეაგნებინონ თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმთელობისთვის სისუფთავეს.

ექიმების მობილიზაცია იყო ამ ცოტა ხნის წასულში, სად წაიყვანეს ნეტავი ამდენი ექიმები? ყველანი ქალაქებში და დაბებში დანიშნეს, სოფლები კი უპატრონოთ დარჩა.

ქალაქი უსოფლოთ ვერ იცხოვრებს და სოფელი უქალაქოთ, უფრო კი ქალაქი უსოფლოთ. საჭიროა მეტი ყურადღება სოფლებისკენ. საწყალი ხალხი ხდება ავათ მოუვლელობით და უწამლობით იხოცება. უგზობისა და სიშორის გამო ექიმი ვერ მოჰყავთ, რომ იცოდენ დარიგება და სისუფთავის დაცვა იქნებ იმისდა მიხედვით მოუარონ ავათმყოფებს მაგრამ სოფლებში ამის შესახებ არაფერი ეგებათ. მოიძებნებიან ზოგიერთ სოფ[illegible]ბში გამოუცდელი ფერშალები [illegible] თავისთავზე უფრო ზრუნავენ ვინემ ხ[illegible]ხის გულისთვის. [illegible] ისა[illegible] აიღონ და ჯიბეები გაისქელონ.

ამისთანების ყოლას სულ რომ არ [illegible] ის ჯობია. უნდა გამოიგზავნოს მისთ[illegible]ბი ვისაც ხალხისთვის შეტირს და მა[illegible]კეთილი სურს. მაგრამ ამისთანები [illegible] რათ მოიძებნება ჩვენ ნორჩ რესპუბლ[illegible]ში. ყველა თავისაკენ ითლის ხელეჩ[illegible]ვით და ხალხი არათ მიაჩნია. მაგალით[illegible] თვის შორს არ წავალ, სოფ. ქვაციხ[illegible] დაარსეს ქსენონი. მოხერხებით აქ მ[illegible]ლათდა ფერშალი ვიდაც გოცაძე არ[illegible] ნახავს ასე აშკარათ ხალხის გატყავება, [illegible] გორც ეს ვაჟბატონი ჩადის. ხალხმა დ[illegible] დგინა მას მოსავლის ქირათ (პრაგონ[illegible] თვის) იმავ სოფელში ხუთი მანეთი, ც[illegible]ტა მოშორე სოფლებში კი ერთი თუ[illegible]ნი. ეს ვაჟბატონი კი გაიძახის ხალ[illegible] დადგენილებას მე არ ვემორჩილებიო, [illegible] რაც მინდა იმას ავიღებო. მართლაც [illegible] იქცევა. ხუთი მანეთის მაგივრათ რო[illegible]საც ავათმყოფეფთან მიყავთ ღებულ[illegible] 70 მანეთს და თუმნის მაგივრათ კი 1[illegible] მანეთს და კიდევ უფრო მეტს. ეს ა[illegible] ხალხისთვის ზრუნვა? სრულიად არა. თქ[illegible] წარმოიდგინეთ ისე გაკადნიერდა ეს ვ[illegible]ბატონი, რომ ერთი მოსახლისას რ[illegible] მიყავთ — ავათმყოფის სანახავათ, მეო[illegible] მოსახლისას არ გადადის უფულოთ. აი [illegible]სი პასუხი:

მომეცი რაც შენმა მეზობელმა მომ[illegible] და გადმოვალო, თუ არა და წავალ [illegible] ბინაზე და იქიდან ამომიყვანეო.

ამას §ქვია შეგნება? ყველას არ შეუ[illegible]ლია რომ მიცეს ფული ფერშალს, ა[illegible] დაეშართა საწყალ ამ გლეხსაც. მეზობლ[illegible] დან არ გადაყვა ფერშალი, იქიდან ველ[illegible] მოიყვანა და მოკვდა საწყალი გლეხი [illegible] დარჩა ღვთის ანაბარათ წვრილი ცოლ[illegible] შვილი. რომ ეკადრებია ამ ვაჟბატონ[illegible] ნახვა, შეიძლება არც კი მომკვდარ[illegible] ყო.

საჭიროა ამ გარემოებას ერობამ მიაქ[illegible] ციოს ყურადღება და ისეთი ფერშლები [illegible] როგორიც გოცაძეა, სამსახურიდან დაით[illegible] ხოვოს და სოფელი გასწმინდოს წურბ[illegible] ლებისაგან.

კაი-გრახი.

ცნობის გარეშე.

უსამართლოთ დეგნილი.

1919 წელს 7 თებერვალს დილის 6 საათზე, როდესაც მღ. სპირდონ წიქრიძე მიდიოდა სადგურ მუხიანში, სოფელ ოფიშკვეთიდან გასავალ ტყეში (ქაჭარში) დახვდა ასლანა ზურაბის ძე ფუთურიძე და ჯოხით სასტიკათ სცემა. მან მღვდელს უბიდან ამოაცალა საქმის ქაღალდები და წავიდა. მაშინვე ეცნობა ეს ამბავი საყულიის საზოგადოების კომისარს, მაგრამ ის ორი კვირის შემდეგ შეუდგა საქმის გამოძევას, რაიცა მოწმობს მის დაუდევრობას და უსაქმობას. საჭიროა მთავრობამ ამისთანა კომისრებს ყურადღება მიაქციოს.

ამავე კომისარს არა ერთხელ მიმართა მღ. სპირდონ წიქრიძემ, მამული ჩამოერთმია ფუთურიძისა, რომელიც ქუთაისის მაზრის სასამართლომ ჩამოართვა ხსენებულ ფუთურიძეს, ვინაიდან ის მას არ უვლიდა პირობების ძალით, მაგრამ ხსენებული საზოგადოების კომისარმა მას არ ჩამოართვა, მიუხედავათ იმისა, რომ მას არა ერთხელ მისწერა მთავრობამ, რომ ჩაებარებია მღვდლის წიქორიძისათვის მამული.

ასეთ წესიერებას ადგა საყულიის საზოგადოების კომისარი, რომელიც თავისი ასეთი მოქმედებით სხვასაც სახელს უტეხს, დემოკრატიას კი მთავრობისადმი რწმენას უკარგავს.

მღ. სპ. წიქრიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში.